იმიტირებული პროცესი
საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

შეჯიბრის აღწერა

2014 წელი

მე-2 ყოველწლიური შეჯიბრი - იმიტირებული პროცესი საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

***

2014 წლის 4 სექტემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება იმიტირებული პროცესი კომერციულ არბიტრაჟში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის (NCADR) ორგანიზებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა (EWMI) და მისი პროგრამის - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) ფინანსური და არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველოსა და საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის აკადემიური მხარდაჭერით ა/წ 4 სექტემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით.

შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მასშტაბით არსებული ნებისმიერი აკრედიტებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს (აუცილებელია რეგისტრაციის მომენტისათვის სტუდენტს დამთავრებული ჰქონდეს ბაკალავრიატის მე-2 კურსი). შეჯიბრში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ პრაქტიკოს იურისტებს, რომლებიც შეჯიბრში რეგისტრაციის მომენტისთვის არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები. მონაწილეობის მსურველი გუნდი დაკომპლექტებული უნდა იყოს მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 4 სტუდენტისგან და ერთი მწვრთნელისგან. იმიტირებული პროცესი ჩატარდება ქართულ ენაზე, რაც უფრო მეტ სტუდენტს მისცემს შეჯიბრში მონაწილეობის საშუალებას.

იმიტირებული პროცესის მიზანია ხელი შეუწყოს კომერციული სამართლისა და კომერციული არბიტრაჟის შესწავლას და საარბიტრაჟო წესით დავების განხილვისათვის საჭირო შესაბამისი უნარების ჩამოყალიბებას. იმიტირებული პროცესის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ ერთმანეთთან დააკავშირონ სამართლებრივი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და თეორიული ცოდნის გაღრმავებისათვის.
იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა რეგისტრაციის მიზნებისათვის შევსებული სარეგისტრაციო ფორმები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა გააგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: apply.ncadr@tsu.ge 2014 წლის 4 სექტემბრიდან 2014 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

კომერციული არბიტრაჟის იმიტირებული პროცესი შედგება ორი ეტაპისგან. პირველი ეტაპი მოიცავს წერილობითი დოკუმენტების მომზადებას. თითოეულ მონაწილე გუნდი ამზადებს როგორც საარბიტრაჟო სარჩელს, ასევე საარბიტრაჟო შესაგებელს. მეორე ეტაპი შედგება ზეპირი გამოსვლებისგან, სადაც მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა ზეპირად წარმოადგინონ მათი არგუმენტები არბიტრების წინაშე. საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებელის შედგენის წესები და ზეპირი გამოსვლების პროცედურა მოცემულია შეჯიბრის წესებში.

შეჯიბრის ფარგლებში მონაწილეების მიერ მომზადებულ წერილობით დოკუმენტებს შეაფასებს კვალიფიციური ჟიური. წერილობითი ნაშრომი შეფასდება ზეპირი გამოსვლებისგან დამოუკიდებლად და შეჯიბრის დასრულების შემდეგ გამოვლინდება საუკეთესო საარბიტრაჟო სარჩელის და საარბიტრაჟო შესაგებელის ავტორი გუნდები. იმ შემთხვევაში თუ შეჯიბრზე დარეგისტრირდება 8-ზე მეტი გუნდი, ზეპირ რაუნდებში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ 8 საუკეთესო წერილობითი ნაშრომის წარმდგენი გუნდი.
2014 წლის 15-16 ნოემბერს გაიმართება იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები. ზეპირ რაუნდებზე გუნდებს უარბიტრებენ პრაქტიკოსი იურისტები. ზეპირი გამოსვლების შემდეგ, არბიტრთა შეფასების ფურცლების შეჯამების საფუძველზე (მხოლოდ ზეპირი ეტაპის გათვალისწინებით) გამოვლინდება 4 ნახევარფინალისტი გუნდი. ნახევარფინალში გამარჯვებული 2 გუნდი კი ერთმანეთს ფინალურ რაუნდში დაუპირისპირდება. თითოეული ზეპირი გამოსვლის შემდეგ გუნდები მიიღებენ არბიტრთა ზეპირ შეფასებას და რჩევებს.
ყველა მონაწილე გუნდს გადაეცემა იმიტირებულ პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

დამატებითი შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ ელ-მისამართზე: apply.ncadr@tsu.ge

მონაწილეთა რეგისტრაცია და შერჩევის კრიტერიუმები

საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში მონაწილეობის მსურველმა გუნდებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია 2014 წლის 4 სექტემბრიდან 15

სექტემბრის ჩათვლით. რეგისტრაციის მიზნებისთვის, გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:

- განაცხადის ფორმა;
- გუნდის სამოტივაციო წერილი (გთხოვთ მიუთითოთ, თუ რატომ გსურთ მონაწილეობის მიღება შეჯიბრში);
- გუნდის წევრების CV.

აღნიშნული დოკუმენტები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შემდეგ ელ-ფოსტის მისამართზე **apply.ncadr@tsu.ge** არაუგვიანეს 2014 წლის 15 სექტემბრისა.
ელ.ფოსტის საგნის ველში გთხოვთ მიუთითოთ „იმიტირებული პროცესი კომერციულ არბიტრაჟში“.

მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები

1. მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 4 სტუდენტისგან და 1 მწვრთნელისგან,
2. გუნდის თითოეული წევრი უნდა იყოს იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტი (აუცილებელია რეგისტრაციის მომენტისათვის სტუდენტს დამთავრებული ჰქონდეს ბაკალავრიატის მე-2 კურსი).
3. იმიტირებულ პროცესში მონაწილე პირი არ უნდა იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.
4. უპირატესობად ჩაითვლება, თუკი გუნდის წევრებს გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება კომერციულ არბიტრაჟში.

შეჯიბრის წერილობით ნაწილში მონაწილეობის საშუალება მიეცემა ყველა რეგისტრირებულ გუნდს. იმ შემთხვევაში, თუკი რეგისტრირებული გუნდების რაოდენობა გადააჭარბებს 8-ს, კონკურსის ჟიური წერილობითი ნაწილის საფუძველზე შეარჩევს 8 გუნდს ზეპირ ნაწილში მონაწილეობის მისაღებად.